ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

10-25 ივნისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

თეოდორ ჯონ კაჩინსკის გარდაცვალების შესახებ

ჩრდილოეთ კაროლინას პენიტენციური სამსახური ინფორმაციას ავრცელებს, 81 წლის „უნაბომბერის“ სახელით ცნობილი ტერორისტის, თეოდორ ჯონ კაჩინსკის, გარდაცვალების შესახებ. 1978 წლიდან 1995 წლამდე, აღნიშნული პირმა სულ მცირე 16 ტერორისტული თავდასხმა განახორციელა.

10.06.2023

კოულ ბრიჯის სასამართლო საქმე

ამერიკის შეერთებული შტატების ფორტ სტიუარტის მესამე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა, 22 წლის კოულ ბრიჯმა, აღიარა „კოულ გონზალეზის“ სახელით ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ მებრძოლებისთვის სამხედრო საწვრთნელი მასალების გაზიარების მცდელობა და ნიუ-იორკში ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვა. გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა კოულ ბრიჯი 2021 წლის იანვარში, ოჰაიოს შტატში დააკავეს.

14.06.2023

წერტილოვანი საჰაერო დარტყმები ტალრიფასა და მანჯიბში

სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორიის ცნობით, თურქეთის მიერ ტალრიფასა და მანჯიბზე, ქურთების მიერ კონტროლირებად ობიექტებზე განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი. დაღუპულთა შორის ოთხი, სირიის დემოკრატიული ძალების ქურთი მებრძოლია.

15.06.2023

ტერორისტული თავდასხმა კირკუკში

ერაყის უსაფრთხოების სამსახურის მედიაცენტრის განცხადებით, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ კირკუკში ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ მებრძოლების მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად, დაიღუპა უსაფრთხოების 2 და მძიმედ დაშავდა 3 ოფიცერი.

11.06.2023

ტერორისტული თავდასხმა მოგადიშოში

სომალის ახალი ამბების ეროვნული სააგენტო ინფორმაციას ავრცელებს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის შეიარაღებული მებრძოლების მიერ,

სასტუმრო Pearl Beach-ზე თავდასხმის შესახებ. აღნიშნული თავდასხმის შედეგად, დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ დასტურდება სომალის სამართალდამცავი უწყებების მიერ.

11.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია შაბელში

სომალის ეროვნული უსაფრთხოების და დაზვერვის სამსახურის ინფორმაციით, შაბელის რეგიონში, აუდიგლთან ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად განეიტრალებულია ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის 19 მებრძოლი.

12.06.2023

ტერორისტული თავდასხმა გარისას სააბატოში

კენიის უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციას ავრცელებს გარისას სააბატოში ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად, 8 პოლიციის ოფიცრის გარდაცვალების შესახებ.

14.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ბელუჯისტანში

ინდოეთის კონტრტერორისტული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ადასტურებს ინფორმაციას პაკისტანი-ავღანეთის საზღვართან, ბელუჯისტანის რეგიონში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაცია „ლაშქარ-ე-თაიბას“ (ქართ. „წმინდათა ლაშქარის“) 4 წევრის ლიკვიდაციის შესახებ.

14.06.2023

სანაულა ღაფარის გარდაცვალების შესახებ

პაკისტანის უწყებათაშორისი სადაზვერვო სამსახური ადასტურებს ინფორმაციას ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ ხორასანის პროვინციის ლიდერის, სანაულა ღაფარის, გარდაცვალების შესახებ. თალიბანის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, ღაფარი, კუნარის პროვინციაში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

16.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია უნგრეთში

უნგრეთის ეროვნულმა საგამოძიებო ოფისმა დაადასტურა ინფორმაცია, ნორვეგიის 45 წლის მოქალაქის ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვის ბრალდებით დაკავების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირი ანდერს ბრეივიკის თავდასხმასთან დაკავშირებული მასალებით ხელმძღვანელობდა.

20.06.2023

ტერორისტული თავდასხმა დასავლეთ სანაპიროზე

ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, ელის დასახლებაში პალესტინელი მამაკაცის მიერ M16 ტიპის ავტომატური შაშხანის გამოყენებით განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თავდამსხმელი ისრაელის თავდაცვის ძალების ოფიცრებმა გაანეიტრალეს.

21.06.2023

აიმან მანსურის ლიკვიდაციის შესახებ

ისრაელის თავდაცვის ძალები ინფორმაციას ავრცელებს, ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ანკლავში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ სამხედრო ფრთის, „ქასემის ბრიგადების“ სამხედრო მეთაურის აიმან მანსურის (ასევე ცნობილი, როგორც „აბუ ატია“) გარდაცვალების შესახებ. „ჰამასის“ „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ სპიკერი, იად ალ ბაზმი, მოუწოდებს ადგილობრივ მოსახლეობას, თავი შეიკავონ დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებისგან და დაელოდონ საგამოძიებო სამუშაოების დასრულებას.

23.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია უგანდაში

უგანდის პოლიცია ადასტურებს ინფორმაციას „დაეშთან“ დაკავშირებული ტერორისტული ორგანიზაციის, გაერთიანებული დემოკრატიული ძალების (ADF) მიერ, გასულ კვირას სკოლაზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმასთან დაკავშირებით ჩატარებული საგამოძიებო სამუშაოების შედეგად, ორგანიზაციასთან დაკავშირებული 20 პირის დაკავების შესახებ.

23.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია პუნჯაბში

პაკისტანის პუნჯაბის პროვინციის კონტრტერორისტული დეპარტამენტი

ინფორმაციას ავრცელებს, უწყებათაშორის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში, რაუალპინდში, სარგოდასა და საივალში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, 4 პირის დაკავების შესახებ. კონტრტერორისტული დეპარტამენტის განცხადებით, დაკავების ადგილიდან ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი იარაღი და ტერორისტული თავდასხმის დოკუმენტირებული გეგმა.

20.06.2023